ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 421

“ 22 ” დეკემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრორაიონის კორპუსი №3ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.006.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრორაიონის კორპუს №3ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.006.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 16 დეკემბრის №20.1494.1832 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მიკრორაიონის კორპუს №3ბ-ში, მესამე სართულზე, ბინა №16-ში მდებარე 41.96 კვ.მ. ფართის უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.11.12.006.013.01.016) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ლალი ჩალაძისთვის (პ/ნ 01002002818) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ასმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**